პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 130 (13822) | სამშაბათი, 6 ივნისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაოობა ტიბაანში

შარშან ტიბაანელებმა რესპუბლიკაში პირველებმა დაიწყეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მკა. ასე იყო შარშან, ასეა წელსაც. ალაზნის ველზე მზე გაზაფხულ-ზაფხულობით მცხუნვარეა, მიწას ძაღუმად აფიცხებს და ადრე ამწიფებს ქერისა თუ პურის ყანებს.

გასულ კვირადღეს დილით ტიბაანელმა მექანიზატორებმა სოფლის გასწვრივ ალაზნის ველზე ქერის ყანებს მიუყვნენ თვითმავალი კომბაინები და ნამის შეშრობას დაელოდნენ. მზე კავკასიონის მთებიდან კარგად რომ ამოიწვერა, კომბაინის მოტორები ათუხთუხდნენ და ოქროსფრად მოელვარე ყანებს შეესივნენ მექანიზატორები. წინ გამოცდილი მექანიზატორის გივი ლათიბაშვილის კომბაინი მიუძღოდათ.

სულ მალე კომბაინის ბუნკერი გაივსო და გივიმ სიგნალი მისცა ავტომანქანა მომამშვეოთო. ბუნკერიდან ღვარივით წამოვიდა ქერის მოსავალი და ავტომანქანის ძარა გავსო. ტიბაანელთა კალოს მარცვლით დატვირთული ავტომანქანა მიადგა.

— საიუბილეო წელს 1.700 ჰექტარზე ავიღებთ პურეულის მოსავალს, — ამბობს ტიბაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. დოლმაზაშვილი, — აქედან ქერი 400 ჰექტარზე გვითესია. ნაცვლად 15 ცენტნერისა 22 ცენტნერ მარცვალს მივიღებთ და ბეღელში 2.600 ტონის ნაცვლად 3.200 ტონა მარცვალს ჩავყრით.

— რაიონის მექანიზატორები კარგად მომმზადნენ მოსავლის ასაღებად. კომბაინები და სხვა საჭირო მანქანები, ინვენტარი ყველგან მზადყოფნაშია, — თქვა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ბელაშვილმა, — წინა წელს ტიბაანელი მექანიზატორი გ. ლათიბაშვილი რესპუბლიკაში შეჯიბრების ინიციატორი იყო. მან შარშან დავალება ჩინებულად შეასრულა და მისი სურვილია წელსაც მან წამოიწყოს შეჯიბრება.

— თავს არ შევირცხვენ, — ამბობს მექანიზატორი ბ. ლათიბაშვილი, — 12 სამუშაო დღეში 260 ჰექტარზე ავიღებ მოსავალს.

მკის დაწყების პირველსავე დღეს ისახელა თავი ტიბაანელმა მექანიზატორმა — ერთ დღეს 15 ჰექტარზე ავიღებ მოსავალი და 300 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

სიღნაღიდან ალაზნის ველი კარგად ჩანს. ადგილ მწვანე ფერი სჭარბობს, ადგილ ოქროსფერი, ზოგან კი ყანებს მომწყანო-მოყვითლო ფერი დაკრავს. სულ მალე ყველგან დაიწყება პურეულის მკა, უხვი მოსავლის დროულად აღებისა და დაბინავებისათვის სოცშეჯიბრებაც ახალი ძალით გაჩაღდება. საიუბილეო წელს უხვი მოსავლით გავახაროთ დედა-სამშობლო! — ასეთია სიღნაღელ მემინდვრეთა პირობა.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ქერის მკა ტიბაანის კოლმეურნეობაში; მარჯვნივ ზემოთ — პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი დ. ბელაშვილი და ტიბაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. დოლმაზაშვილი ქერის ყანებში; მარჯვნივ ქვემოთ — კოლმეურნეობის ბრიგადირი ნ. გურაშვილი და აგრონომი ე. ხატიაშვილი ამოწმებენ ქერის პირველ მოსავალს; მარცხნივ — კომბაინერი გ. ლათიბაშვილი.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

საიუბილეო წლის სასკოლო ხარაჩოები

ჯერაც მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობს ჩვენი სკოლა, ჯერაც არ შეწყვეტილა მოსწავლეთა ჟრიამული, არ დახურულა სკოლის კარი. მიმდინარეობს კლასიდან კლასში გადასაყვანი, დამამთავრებელი და საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები. დასასრულს უახლოვდება სასწავლო წელი. და სკოლაც საზაფხულოდ დისვენებს. მაგრამ სასკოლო ცხოვრების, სახალხო განათლების დარგის ისეთი ობიექტი, როგორიც არის მშენებლობა, ვერ ეგუება სიტყვას „დასვენება“. და ეს გასაგებიც არის.

სასწავლო წლის რა პერიოდიც უნდა ავიღოთ, ჩვენი გამრჯე მშენებლები, ჩვენი საწარმოები და კოლმეურნეობები, შეფი ორგანიზაციები, მთელი საზოგადოებრიობა შეუნელებლად ზრუნავენ სკოლების ქსელის განვითარებისათვის, სასკოლო ბაზების შემდგომი განმტკიცებისათვის. მაშინაც კი, როცა კლასებში დაძაბული მუშაობაა, სწავლა მიმდინარეობს, — ასობით ობიექტზე დაუცხრომელი შრომაა, — აშენებენ.

სწორედ ამ მშენებლობაზე — სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო დაწესებულებების, მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე ფიქრობს და ზრუნავს ახლა ასობით და ათასობით ადამიანი.

არაერთხელ გავუხარებივართ ჩვენს მშენებლებს. გვინდა ეს სიხარული წელსაც ვიგრძნოთ. წელს განსაკუთრებით, რადგან ეს ხომ საიუბილეო წელია!

1966-1967 სასწავლო წლის სანიმუშოდ მომზადებისა და სასკოლო მშენებლობის საქმეში მოპოვებული წარმატებებისათვის ქობულეთის რაიონს გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი დროშა. ეს პირველი როდია — რაიონს შეექვსედ გადაეცა სოციალისტურ ჯიგრებაში გამარჯვების დროშა, და საერთოდ მთელი აჭარა მოწინავეა საქართველოში სასკოლო მშენებლობის მხრივ. თუმცა ამას თვითდამშვიდების საბაბი არ მიუცია აჭაური მშენებლებისათვის. უფრო მეტიც. აჭარის ასარ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ, რომელიც ახლახან დამთავრდა, სპეციალურად განიხილა **1967-1968** სასწავლო წლისათვის მზადების, კერძოდ, სასკოლო მშენებლობის საკითხი. ფართოდ განვითარდება სასკოლო ქსელი და სკოლების მატერიალური ბაზა. **1967-1970** წლებში **128** რვაწლიანი სკოლიდან საშუალო სკოლად გადაკეთდება **66**, გაიზრდება სასკოლო ინტერნატებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების რაოდენობა.

სასკოლო მშენებლობაში ზუგდიდის, ქობულეთის, სიღნაღის, საგარეჯოს რაიონების, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებისა და ქალაქების მიერ მიღწეულ წარმატებებს დიდად კეთილმყოფელი გავლენა ჰქონდა სწავლების მომდინარეობაზე, ნორჩი თაობის აღზრდის დონეზე.

მთელი ძალები ხმარდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელებას ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების მუშაობის შედეგმი გაუმჯობესების შესახებ. **ამ ღონისძიებებში ერთ-ერთ უმთავრეს ობიექტად სასკოლო მშენებლობა ითვლება.** ბევრი პარტიული ორგანიზაცია, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანო დაუცხრომლად ზრუნავს იმისათვის, რომ ჩვენს სკოლებს ჰქონდეთ ღირსეული მატერიალური ბაზა, მაგრამ მშენებელი ორგანიზაციები ყველგან როდი იყენებენ მაქსიმალურად ამ ზრუნვასა და ყურადღებას. ჯერ კიდევ აქვს ადგილი მშენებლობის შეუწყვეტელ გაჭიანურებას, ზოგან შესამჩნევია მშენებლობის დაბალი ხარისხი.

წინ სერიოზული სამუშაო გვიდევს — წელს უნდა ავაშენოთ სკოლები 16.024 მოსწავლის ადგილით, ბაგა-ბაღი 3.680 ადგილით, საბინაო ფონდი (ინტერნატები და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები) 7.518 კვადრატული მეტრი საერთო ფართობით. დავალება ფრიად სერიოზულია. როგორია დღეისათვის საერთო სურათი? — მთელ რიგ წარმატებებთან ერთად, რაც მოწინავე მშენებელთა მიერ არის მიღწეული, მრავალი ობიექტი კვლავ ჩამორჩება.

მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა, მაგალითად, გარდაბნის რაიონის კოჯრის, თელავის რაიონის ნაფარეულის, დმანისის რაიონის ირგანჩის სასკოლო მშენებლობებზე, ძალზე ნელა შენდება ყაზბეგის სკოლა-ინტერნატის საძინებელი კორპუსი, საშუალო სკოლის შენობები ბოგდანოვკის რაიონის სოფლებში არაგვისსა და კონდურაში, წითელწყაროში და ამავე რაიონის სოფელ არხილოსკალოში. თვით ქალაქ სოხუმშიც, ყველას თვალწინ გაჭიანურებულად შენდება საშუალო სკოლა. ასეთივე სურათია ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევის, გულრიფშის რაიონის სოფელ ამტკელის, ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისის სკოლების მშენებლობებზე. წელს თავდანვე არაფერი გაკეთებული ყვარლის საშუალო სკოლის მშენებლობაზე, რომელიც ორი წლის წინათ დაიწყო და წელს გასაშვებ ობიექტად ითვლება. განსაკუთრებით ჩამორჩება აგრეთვე მცხეთის რაიონის სოფელ ქსოვრისის საშუალო სკოლის მშენებლობაც.

ჩამორჩენილ სასკოლო მშენებლობათა ობიექტები განსაკუთრებულ ყურადღებას, კონტროლს, დახმარებასა და ხელმძღვანელობას მოითხოვენ. ყოველად დაუშვებელია თვითდინება იმის საბაბით, რომ პირველ სექტემბრამდე „დიდი დროა“. საშობაღლო გრაფიკის დარღვევის უფლება არავის არა აქვს. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან სასკოლო მშენებლობა გამოაცხადონ დაბკრელურ უბნად. წარმატებას აქედანვე უნდა ჩავუყაროთ საფუძველი, რომ მიწურულში იერიშობანას არ ექნეს ადგილი.

რადაც უნდა დაგვიჯდეს გავაძლიეროთ მშენებლობის ტემპი, ავაღლიოთ მისი ხარისხი, განუხრელად შეავასრულოთ სახელმწიფო გეგმა! — ასეთია ახლა დევიზი.

და საიუბილეო წელს სასკოლო მშენებლობის უბანზეც წარმატებით რომ შევხვდეთ, ამთავითვე უნდა დავრაზმოთ მთელი ძალები.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ **1966-1970** წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა შესაბამისად უნდა განვავითაროთ ხუთწლიდის წლების მიხედვით ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების ქსელი და გავადიდოთ მოსწავლეთა კონტინგენტი ამ სკოლებში, აგრეთვე უთუოდ შევასრულოთ სკოლების მშენებლობის საგეგმო დავალებანი და განვამტკიცოთ მათი სასწავლო-მატერიალური ბაზა. ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი იმას, რომ სამრეწველო საწარმოებმა, მშენებლობებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, დაწესებულებებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შეფობა გაუწიონ სკოლებს, დაეხმარონ მათ მატერიალური ბაზის განმტკიცებაში.

ახლოვდება დიადი თარიღი — ოქტომბრის **50** წლისთავი. მთელი საბჭოთა ხალხი შრომითი წარმატებებით ემზადება მის შესახვედრად. ეჭვი არ არის, რომ საიუბილეო წლის წარმატებები თვალსაჩინო იქნება სასკოლო მშენებლობებზეც.

ნ. ვ. პოდგორნი მოსკოვში დაბრუნდა

ტაშკენტი, 5 ივნისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც ავღანეთიდან ბრუნდება ოფიციალური ვიზიტის შემდეგ, უზბეკეთის დედაქალაქიდან მოსკოვს გაემგზავრა. ტაშკენტის აეროდრომზე ნ. ვ. პოდგორნი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ს. ნასრიდინოვმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ რ. ყურბანოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გუშინ, 4 ივნისს, ნ. ვ. პოდგორნიმ იმოგზაურა სამარყანდში, ფერგანასა და მარგილანში.

5 ივნისს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც ავღანეთის მეფის მუჰამედ ზაჰირ შაჰის მიწვევით ოფიციალურ ვიზიტად იყო ავღანეთში.

მეგობარ ქვეყანაში მოგზაურობის დროს ნ. ვ. პოდგორნის ახლდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ხოლოვი, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრი პ. ს. ნეპოროვნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. მ. ვინოგრადოვი. (საკდესი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაცია აწყობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ

„საოქტომბრო კითხვას“

მოხსენებას თემაზე „ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ“ წაიკითხავს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ო. ვ. ჩერქეზიკ.

მოხსენება შედგება 1967 წლის 7 ივნისს, დღის 4 საათზე, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საკაკტო დარბაზში (რუსთაველის პრსპ. № 29) რუსულ ენაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობა.

საქლესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-163“

1967 წლის 5 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-163“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მიმოქცევის სიწყისი პერიოდი — 93,1 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 616 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 261 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 48,4 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს, საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

გ. ლ. ჯავახიშვილმა მიიღო ქიგბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი

ქიგბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი ნოროდომ ფურისარა, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით სსრ კავშირში იმყოფება, 5 ივნისს ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს. მთავრობის, ქართველი ხალხის სახელით გ. დ. ჯავახიშვილი გულთბილად მიესალმა ნ. ფურისარასა და მის თანამგზავრებს და ქმაყოფილება გამოთქვა მეგობარი ქიგბოჯელი ხალხის წარმომადგენელთა საქართველოში ჩამოსვლის გამო.

საქართველოში, თქვა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, — ქიგბოჯელ სტუმრებს დახვდათ გრილი ამინდი, რაც უჩვეულოა ჩვენი მზიანი მხარისათვის, მაგრამ სამაგიეროდ გულთბილია ჩვენი შეხვედრა.

ქიგბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრმა მთავრობის, თავისი ხალხის სახელით მადლობა გამოთქვა გულმხურვალე შეხვედრისათვის. ჩვენ გულწრფელად გვასიამოვნა, თქვა მან, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობამ და მასპინძელთა გულთბილობის გამო სრულიად არ გვიგრძვნია გრილი ამინდი.

ქიგბოჯასა და საქართველოს, განაგრძო ნოროდომ ფურისარამ, ბევრი რამ აქვთ საერთო. ჩვენს ხალხებს ძალიან ძველი ცივილიზაცია აქვთ. ქიგბოჯა განვითარებადი ქვეყანაა, და ახლა ვმუშაობთ, რათა მივაღწიოთ პროგრესს ცხოვრების ყველა დარგში. სწორედ ამიტომ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენი დელეგაციის ყოფნას თქვენს ქვეყანაში. ჩვენ საბჭოთა კავშირის მეგობრები ვართ. თქვენი ქვეყანა, თქვენი ხალხი ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევენ და მიდდა დაგარწმუნოთო, რომ ქიგბოჯელი ხალხი გულწრფელი მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული საბჭოთა ადამიანებისადმი.

გ. დ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ ქარფველი ხალხი, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი ინტერესით და ყურადღებით აფიქრებს თვალს ქიგბოჯის განვითარებას და სულით და გულით შეხარის ქიგბოჯის ხალხის წარმატებებს. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ ქიგბოჯის სახელმწიფოს მეთაურის, მისი სამეფო უმაღლესობის სამდეგ ნოროდომ სიანუკის და საგარეო საქმეთა მინისტრის ნოროდომ ფურისარას მოღვაწეობას.

ქიგბოჯა, ხაზი გაუსვა გ. დ. ჯავახიშვილმა, თავის პოლიტიკას აშენებს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე, შეურიგებელ ბრძოლას ეწევა ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. ჩვენ გამოვთქვამთ რწმენას, რომ თქვენი ვიზიტი, ბატონო მინისტრო, ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ქიგბოჯის მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

ნოროდომ ფურისარამ მადლობა გამოთქვა ქიგბოჯის მთავრობის მოღვაწეობის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის, მთავრობისა, რომელსაც მისი სამეფო უმაღლესობა სამდეგ ნოროდომ სიანუკი მეთაურობს. მას შემდეგ, რაც ქიგბოჯამ მიიღო დამოუკიდებლობა, განაცხადა მან, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენი ქვეყნების ეს ურთიერთობა ნაყოფიერად ვითარდება. ახლა, როცა ამერიკელი იმპერიალისტები საფრთხეს უქმნიან ქიგბოჯელი ხალხის დამოუკიდებლობას, საბჭოთა კავშირის ძმურ დახმარებას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ქიგბოჯისა და სსრ კავშირის თანამშრომლობა შეიძლება იყოს იმის მაგალითი, თუ როგორ წარმატებით მუშაობს მშვიდობისათვის ორი ქვეყანა, რომლებსაც სხვადასხვა პოლიტიკური წყობილება აქვთ.

დარბაზობას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. ჯაფარიძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ფ. ა. ტუკოვი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, საბჭოთა კავშირის ელჩი ქიგბოჯაში ა. პ. რატანოვი, აგრეთვე ქიგბოჯის ელჩი სსრ კავშირში ხუ კანტული. (საკდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა კოლექტივების შეჯიბრების მასალები 1967 წლის პირველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით. მათ აღნიშნეს, რომ საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIII კრების გადაწყვეტილებებსა და ასრულებენ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ კალდებულებებს, ახალი წარმატებანი მოიპოვეს და ვადამდე შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოების 1967 წლის პირველი კვარტალის გეგმა და სამშობლოს გეგმის გადაჭარბებით მისცეს ათობით მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ სამრეწველო საწარმოთა ლიანი პროდუქციის წარმოების მოცულობა 1967 წლის პირველ კვარტალში 1966 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10,7 პროცენტით გაიზარდა. შრომის ნაყოფიერების გეგმა პირველ კვარტალში შესრულებულია 105 პროცენტით.

შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მიენიჭათ:

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სინთეზური საწარმოს ფაბრიკის კოლექტივს;

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივს;

ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სადმელის ხე-ტყის კომბინატის კოლექტივს;

კვების მრეწველობის სამინისტროს თბილისის № 1 ღვინის ქარხნის, ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის შუშის ქარხნისა და თბილისის კონიაკის ქარხნის კოლექტივებს;

ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ბორჯომის ხორცკომბინატის კოლექტივს;

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოსა“ და თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებს;

სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 9 მექანიზებული კოლონისა და თბილისის ხისდამმუშავებელი სახელოსნოს კოლექტივებს;

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 6 შახტის კოლექტივს;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველოს რუსთავის კაპროლაქტამის ქარხნის კოლექტივს;

„საქმთავარკონსერვხილეგზსტანის“ მთავარი სამმართველოს „საქკონსერვტრესტის“ გორის ხილ-კენკროვანთა წვენების ქარხნის კოლექტივს.

მეორე ფულადი პრემიებით დაჯილდოებული არიან სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 სპეციალური მშენებლობი კოლონნის, ახალციხის ქვანახშირის მაღაროსამმართველოს № 1 შახტისა და ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველოს მახარაძის მაღაროსამმართველოსა და რაჭის სამთომტალურგიული კომბინატის, „საქმთავარკონსერვხილეგზსტანის“ მთავარი სამმართველოს „საქკონსერვტრესტის“ ქარელის ხილ-კენკროვანთა წვენების ქარხნის კოლექტივები.

მესამე ფულადი პრემიები მიიღეს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 მოძრავი სახელოსნოს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველოს ჩორდხის ბარიტის მაღაროსამმართველოსა და წულუკიძის სინთეზური მასალების ქარხნის კოლექტივებმა. (საქდესი).

გარდამავალი დროშები, პრემიები...

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოთა მასალები რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა 1967 წლის პირველ კვარტალში ელექტროენერგიის დაზოგვისა და სიმძლავრის კოეფიციენტის გადიდებისათვის.

გამარჯვებულად ცნეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც 13,5 პროცენტით დაზოგა ელექტროენერგია, ამასთან სიმძლავრის კოეფიციენტი 0,96-მდე გაადიდა. კოლექტივს მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემია.

მეორე ფულადი პრემიები დაიმსახურეს თბილისის ფოლად-თუჯსამსმელი ქარხნისა და თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს კოლექტივებმა. მესამე ფულადი პრემიები მიიღეს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნისა და ფოთის წისქვილკომბინატის კოლექტივებმა.

აღინიშნა რუსთავის ქიმიური კომბინატის, ბორჯომის შუშისა და ჩამოსასხმელი ქარხნების, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის, ქუთაისის საკონსერვო ქარხნის, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატისა და სხვა საწარმოთა კოლექტივების კარგი მუშაობა.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ თბილისის ელექტროსამშენებელ ქარხანაში, ამირკავკასიის რკინიგზაზე, ბათუმის ელექტროტექნიკურ ქარხანაში, რუსთავის ცემენტის ქარხანასა და საშენ მასალათა კომბინატში მნიშვნელოვანი როდენობითაა გადახარჯული ელექტროენერგია. დარგობრივ პროფკავშირებმა საწარმოებთან ერთად უნდა დასახონ ღონისძიებანი იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც იწვევენ ელექტროენერგიის გადახარჯვას. (საქდესი).

საიუბილეო ვახტზე

საქართველოს კპ გორის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. გზიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ბოცირიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. ქუჩუკაშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად რაიონის მშრომელებმა პირობა ვადაზე ერთი თვით ადრე გაანაღდეს. 1 ივნისისათვის სახელმწიფოს მიეყიდა **5.126** ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული **4.400** ცენტნერისა, **15.856** ცენტნერი რძე ნაცვლად **15.050** ცენტნერისა, **1.007.600** ცალი კვერცხი ნაცვლად **750.000** ცალისა.

საიუბილეო წელს, — აცნობეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. სანინაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. გოგიჯიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ბელერმა, — რაიონის მშრომელებმა პირველი წარმატება მოიპოვეს. პირველ ივნისს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა განაღდებულია 100 პროცენტით, მატყლისა — 102 პროცენტით, მსხვილი ტყავნედლეულისა — 122 პროცენტით. წვრილი ტყავნედლეულისა — 105 პროცენტით, ღორის ტყავისა — 135 პროცენტით.

საომარი მოქმედება ახლო აღმოსავლეთში

კაირო, 5 ივნისი (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი ა. კისლოვი გვატყობინებს:

დღეს დილიდან ეგვიპტის დედაქალაქში რამდენჯერმე გამოცხადეს საჰაერო განგაში. საზენიტო არტილერია უშუალოდ ქალაქის მახლობლად ისვრის. ცაში სკდება საზენიტო ჭურვები. მიუხედავად ამისა ქუჩები სავსეა ხალხით, რომლებიც იკრიბებიან რადიომიმღებებთან, უსმენენ უკანასკნელ ცნობებს, რომლებსაც რადიოთი გადასცემენ ყოველ 10-15 წუთში.

კაიროს რადიოს ცნობების თანახმად, 15 საათამდე საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით გაანადგურეს ისრაელის 70-მდე თვითმფრინავი. ტყვედ წაიყვანეს თერთმეტი ისრაელი მფრინავი. ერთ-ერთი მათგანის — ლავო მარდჰაის ჩვენებანი ჩაწერილია მაგნეტოფონის ფირზე. ამ ფირს წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს როგორც ისრაელის აგრესიის ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთს.

მარდჰაის ჩვენებათა თანახმად, ისრაელის ავიაციამ მიიღო ბრძანება იერიში მიიტანოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის აეროდრომებზე დილის 6 საათზე გრინვიჩის დროით (დილის 9 საათზე ადგილობრივი დროით).

კაიროს რადიომ გამოაცხადა, რომ სხვა ისრაელ ტყვე მფრინავებს უჩვენებენ დღეს საღამოს ადგილობრივი ტელევიზიით.

აქ გამოაცხადეს, რომ კაიროს საერთაშორისო აეროპორტი დახურული იქნება დღეს და ხვალ. კაიროს რადიოს თანახმად, ბრძოლები ხმელეთზე მიმდინარეობს ძირითადად ისრაელისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დაზავების ხაზის ზონაში. კაიროს რადიო იუწყება, რომ სხვა არაბული ქვეყნები მხარს უჭერენ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, რომლის მიმართაც ხორციელდება აგრესია. გადმოსცემენ ცნობებს დამასკოდან, აგრეთვე ამანიდან ისრაელის წინააღმდეგ სირიის, ერაყისა და იორდანიის ავიაციის საბრძოლო მოქმედების შესახებ.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „ისრაელის შეთქმულება გამომეღავნებულია, იმ დროს, როცა ისრაელმა დაიწყო აგრესია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ და ისრაელის ავიაციამ ცეცხლი დაუშინა ეგვიპტის აეროდრომებს კაიროს მახ

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას

როგორც უკვე ეიუწყებოდით, საბჭოთა მთავრობამ მიმდინარე წლის ორ ივნისს მტკიცე პროტესტი განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმის გამო, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები ვიეტნამის კამფის ნავსადგურში თავს დაესხნენ საბჭოთა თბომავალ „თურქესტანს“.

მიმდინარე წლის 3 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოს გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საპასუხო ნოტა, რომელშიც აშკარა ფაქტების მიუხედავად უსაფუძვლოდ უარყოფენ, რომ ამერიკის მხედრიონმა ეს დანაშაულებრივი აქცია ჩაიდინა.

ამასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 5 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს გადაეცა საბჭოთა მთავრობის ახალი ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა კატეგორიულად უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიმდინარე წლის 3 ივნისის საპასუხო ნოტაში ჩამოყალიბებულ ცდებს თავი აარიდონ პასუხისმგებლობას საბჭოთა თბომავალ „თურქესტანზე“ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების თავდასხმისათვის.

ფაქტები, რომლებიც საბჭოთა მთავრობას აქვს, უცილობლად მოწმობენ, რომ ორი ამერიკული თვითმფრინავის ავიაზაკური თავდასხმა საბჭოთა სავაჭრო გემზე, რომლის შედეგად ეკიპაჟის ერთი წევრი დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა, ხოლო თვით გემი დაზიანდა, აშკარად წინასწარგანზრახული იყო.

ცნობილია, რომ ამერიკის თვითმფრინავების თავდასხმა თბომავალ „თურქესტანზე“ მოხდა დღისით — მზისით, მოწმენდილი ამინდის დროს, როცა გემი კამფის ნავსადგურში რეიდზე იდგა ნავმისადგომიდან კარგა მოშორებით და რეიდზე არც ერთი სხვა გემი ამ დროს არ ყოფილა. სრულიად უეჭველია, რომ ამერიკელი მფრინავები სწორედ „თურქესტანს“ უმიზნებდნენ ბომბებსა და ტყვიამფრქვევებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კი თავის ნოტაში იცავს ცრუ ვერსიას, რომელიც იმისათვის არის შეთხზული, რომ გაამართლოს დანაშაული.

ამერიკის ნოტაში მოცემული გამონათქვამები ვიეტნამში „კანონიერი სამხედრო სამიზნეების წინააღმდეგ“ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების საჰაერო ოპერაციების შესახებ, რომლებიც „სარისკოა“ თავისუფალი საერთაშორისო ნაოსნობისათვის, უსაფუძვლოა, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია ვიეტნამში ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის უაღრესად უხეში დარღვევაა და თავისთავად დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

საბჭოთა მთავრობა კვლავ ადასტურებს თავის ნოტას, რომელიც მიმდინარე წლის 2 ივნისს გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას“.

თბილისში ჩამოვიდა

კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი

4 ივნისს ვოლგოგრადიდან თბილისში ჩამოვიდა კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი ნოროდომ ფურისარა, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით იმყოფება ჩვენს ქვეყანაში.

აეროპორტში, რომელიც კამბოჯის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით იყო მორთული, სტუმარსა და მის თანმხლებ პირთ შეხვდნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ლ. ა. საყვარელიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. დ. ჟორჟიკაშვილი და სხვები.

სტუმრებთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი დ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის ელჩი კამბოჯაში ა. პ. რატანოვი, აგრეთვე კამბოჯის ელჩი სსრ კავშირში ხუ კანტული.

აეროდრომიდან ნოროდომ ფურისარა გაემართა მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში. (საქდესი).

მეგობრული შეხვედრა

კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი ნოროდომ ფურისარა 4 ივნისს ეწვია საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გიგოშვილს. საბჭოთა ხალხი, აღნიშნა საუბრის დროს ა. ა. გიგოშვილმა, ყურადღებით ადევნებს თვალს მეგობარი კამბოჯელი ხალხის ცხოვრებას, ხარობს მისი წარმატებებით შემოქმედებითს შრომაში.

კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი გაეცნო რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებას.

ნოროდომ ფურისარამ თქვა, რომ იგი და მისი კოლეგები სიხარულით დაეთანხმნენ საქართველოში მოწვევას, რათა შეეტყოთ, როგორ ცხოვრობს და შრომობს ქართველი ხალხი.

ვიზიტს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი დ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის ელჩი კამბოჯაში ა. პ. რატანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრები გ. ნ. ჯიბლაძე, ლ. ა. საყვარელიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. დ. ჟორჟიკაშვილი, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. მიქელაძე, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, აგრეთვე კამბოჯის ელჩი სსრ კავშირში ხუ კანტული. (საქდესი).

სტუმრები საქართველოს ეცნობიან

მთელ კვირადღეს კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი ნოროდომ ფურისარა და მისი თანამგზავრნი ეცნობოდნენ საქართველოს.

კამბოჯელი ხალხის წარმომადგენლებმა დაახლოებით ერთი საათი დაჰყვეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ნოროდომ ფურისარას ცხოველი ინტერესი გამოიწვია ტიხრულმა მინანქარმა და ჭედურმა ხელოვნებამ. ახსნა-განმარტებას იძლეოდა მუზეუმის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შ. ი. ამირანაშვილი. სტუმარმა განაცხადა, რომ ქართველ ოსტატთა ტიხრულ მინანქარს და ჭედურ ხელოვნებას თავისი მხატვრული ღირსებებით შეუძლია მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავოს.

შემდეგ კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრმა მეუღლეთურთ და სხვა სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქი.

რუსპუბლიკის დედაქალაქის დათვალიერების შემდეგ კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი ნოროდომ ფურისარა და დელეგაციის წევრები, რომელსაც იგი მეთაურობს, გაემგზავრნენ მცხეთაში, სადაც დათვალიერეს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები ჯვარი და სვეტიცხოველი. სტუმრებს უთხრეს, რომ უძველესი არქიტექტურის ძეგლების სიუხვით საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე აღრიცხულია 5 ათასამდე ძეგლი, რომელთა დაცვა ნაკისრი აქვს სახელმწიფოს.

სტუმრები გაეცნენ აგრეთვე მუხრანის მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობას.

საღამოს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს დარბაზში სტუმრებმა თბილისის საზოგადოებრიობას გააცნეს დოკუმენტური ფილმი „კამბოჯა დღეს“. ნ. ფურისარასა და მის თანამგზავრებს უჩვენეს სტუდია „ქართული ფილმის“ ფილმები.

5 ივნისს ნოროდომ ფურისარა და მასთან ერთად ჩამოსული პირნი ეწვივნენ ჩაისსაწონ ფაბრიკას. ისინი იყვნენ საწარმოს საამქროებში, სადაც წარმოების ყველა პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებულია.

— ფაბრიკის კოლექტივს, — შენიშნა ნოროდომ ფურისარამ, — სამართლიანად შეუძლია იამაყოს თავისი შესანიშნავი საწარმოთი. *(საქდესი).*

საუზმე კამბოჯელი სტუმრის პატივსაცემად

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გიგოშვილმა საუზმე გამართა კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრის ნოროდომ ფურისარას პატივსაცემად. საუზმის დროს, რომელმაც მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, ა. ა. გიგოშვილმა და ნ. ფურისარამ სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

საუზმეს დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. ჯაფარიძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი დ. ა. ჟუკოვი, საბჭოთა კავშირის ელჩი კამბოჯაში ა. პ. რატანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრები გ. ნ. ჯიბლაძე, ლ. ა. საყვარელიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. დ. ჟორჟიკაშვილი, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. მიქელაძე, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, აგრეთვე კამბოჯის ელჩი სსრ კავშირში ხუ კანტული. (საქდესი).

ნოროდომ ფურისარა თბილისიდან გაემგზავრა

5 ივნისს თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრნენ კამბოჯის საგარეო საქმეთა მინისტრი ნოროდომ ფურისარა და მისი თანმხლები პირნი.

კამბოჯელ სტუმრებთან ერთად გაემგზავრა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი დ. ა. ჟუკოვი. (საქდესი).

საერთაშორისო ხელვაჭრა

ისრაელის აგრესია ახლო აღმოსავლეთში

კაიროს რადიოს ცნობა

კაირო, 5 ივნისი. (საკდესი). კაიროს რადიო, როგორც მენის სააგენტოს გვატყობინებს, იუწყება, რომ დღეს ისრაელმა დაიწყო აგრესია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჯარები იგერიებენ აგრესიას.

იმოწმებს რა სამხედრო წყაროებს, კაიროს რადიო აღნიშნავს, რომ ისრაელის თვითმფრინავებმა დაიწყეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავდასხმები დილის 6 საათზე გრინვიჩის დროით.

კაირო, 5 ივნისი. (საკდესი). კაიროს რადიომ გადმოსცა, რომ დღეს დილის 9 საათზე ისრაელის სახმელეთო ჯარებმა და ავიაციამ ფართო მასშტაბით დაიწყეს შეტევა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაზე. ისრაელის ავიაცია თავს დაესხა სამხედრო აეროდრომებს სინას ნახევარკუნძულზე, სუეცის არხის რაიონში, სამხედრო აეროდრომს კაიროს მახლობლად და შარმ ელ-შეიხს.

კაიროს რადიომ გადმოსცა აგრეთვე, რომ ამერიკის ტანკერი გაჩერდა სუეცის არხში მე-40 კილომეტრზე. ისრაელის ავიაცია, გადმოსცემს რადიო, შეეცადა დაებომბა საფრანგეთის ტანკერი.

კაირო, 5 ივნისი. (საკდესი). დილის 9 საათსა და 15 წუთზე კაიროში გამოცხადდა საჰაერო განგაში. ისმის საზენიტო ქვემეზების სროლა და აფეთქებების ხმა.

11 საათზე მოსკოვის დროით კაიროს რადიომ გადმოსცა ცნობა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ჩამოვადგეს ისრაელის 42 თვითმფრინავი.

• • •

ბეირუთი, 5 ივნისი. (საკდესი). „ლიბანი ვერ გაუმჯნენა არაბი ხალხების საერთო ბრძოლას და ყოველ ღონეს იხმარს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვისათვის“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა რაშიდ კარამემ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიული მოქმედების გამო.

დამასკოს რადიოს აქ მიღებულ ცნობაში ნათქვამია, რომ, სირიის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის კომუნიკეს თანახმად, სირიის ჯარებმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის პასუხად დაიწყეს საომარი ოპერაციები. სირიის ავიაციამ დაბომბა ისრაელის არმიის სამხედრო პოზიციები და გამაგრებული პუნქტები.

როგორც ამანის რადიო იუწყება, მეფე ჰუსეინმა მოიწონა კაბინეტის გადაწყვეტილება გამოაცხადოს ომრდანიაში სამხედრო წესები. იერუსალიმის ომრდანიის სექტორიდან მიღებული ცნობებით, ქალაქში არტილერიის სროლაა სადემარკაციო ხაზის გასწვრივ, რომელიც ჰაოფს იერუსალიმის ისრაელის ნაწილს ომრდანიის ნაწილისაგან. ამანის რადიომ გადასცა აგრეთვე, რომ ომრდანიის არმია დღეიდან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა — ომრდანია — ერაყის გაერთიანებული სარდლობის გამგებლობაშია, რომელიც შეიქმნა ომრდანიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ერაყის ერთობლივი თავდაცვის შესახებ ამას წინათ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

დღეს არაბთა გაერთიანებულმა სარდლობამ გამოაცხადა, რომ ომრდანიის, ერაყისა და სირიის სამხედრო-საჰაერო ძალები ახორციელებენ ერთობლივ საჰაერო ოპერაციებს ისრაელის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ.

კუვეიტის მთავრობამ გამოაცხადა, რომ იგი ისრაელთან თავდაცვითი ომის მდგომარეობაშია.

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტელ-ავივიდან იუწყება:

ისრაელის არმია მიიწევს სამხრეთისაკენ რამდენიმე მიმართულებით. სძლიეს ეგვიპტის არტილერიას, იუწყება ისრაელის რადიო.

ლონდონი, 5 ივნისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ტუნისელი კორესპონდენტი გვატყობინებს:

დღეს რამდენიმე ათასი გაფორებული ტუნისელი ინგლისისა და ამერიკის საელჩოებში შეიჭრა არაბეთ-ისრაელის კონფლიქტში ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

დემონსტრანტები აღნიშნული საელჩოების შენობებში შეცვივდნენ და დაარბიეს იქაურობა. ამერიკის საელჩოს წინ რამდენიმე ათეული ავტომობილი გადაბარუნეს, ხოლო ინგლისის საელჩოს წინ მდგომ სატვირთო ავტომანქანას ცეცხლი წაუკიდეს.

სუდანმა ომი გამოუცხადა ისრაელს

ხართუმი, 5 ივნისი. (საკდესი). პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ აჰმედ მაჰჯუბმა დღეს პარლამენტში გამოაცხადა, რომ სუდანი ჩაება ისრაელის წინააღმდეგ ომში. „სუდანის შეიარაღებულ ძალებს, — თქვა პრემიერ-მინისტრმა, — არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში გავგზავნეთ“.

ხართუმის მოსახლეობამ დღეს მძლავრი საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყო არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაზე ისრაელის ჯარების თავდასხმის გამო. დემონსტრანტებმა ჩაუარეს ამერიკის საელჩოს და დაგმეს შეერთებული შტატები ისრაელის მხარდაჭერისათვის.

ჰანოის ერთ-ერთ საცხოვრებელ კვარტალში, რომელიც ამერიკის ბომბდამშენებმა დაანგრიეს.

ფოტო გ. სპირიდონოვისა (ახალი ამბების სააგენტო)

მდგომარეობა ნიგერიაში

ლაგოსი. ნიგერიის სამხედრო-საზღვაო ხელისუფლებმა განმარტეს წესი, რომელიც უნდა დაიცვან ტანკერებმა, რომლებიც მიემართებიან ბონის ნავსადგურში. ეს ნავსადგური მდებარეობს ნიგერიის აღმოსავლეთი ოლქის ტერიტორიაზე, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ყველა ტანკერს მიეცა წინადადება ჯერ შეგიდეს ლაგოსში ნიგერიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობის ნებართვის მისაღებად.

პარიზი. ნიგერიის აღმოსავლეთ ოლქის სამხედრო გუბერნატორმა პოდპოლკოვნიკმა ოდუმეგვუ ოჯუკვუმ გამოაცხადა „საგანგაშო მდგომარეობა“ ოლქის ტერიტორიაზე და გამოსცა დეკრეტი საყოველთაო მობილიზაციის შესახებ.

საბჭოთა ტურისტები სამეგობლოში მიემგზავრნენ

თეირანი, 5 ივნისი. (საკდესი). ირანში ერთი კვირის მოგზაურობის შემდეგ დღეს სამშობლოში გაემგზავრა საბჭოთა ტურისტების ჯგუფი. საბჭოთა მოგზაურები — მოსკოვის, ბაქოს, თბილისისა და სხვა ქალაქების მეცნიერი მუშაკები გაეცნენ თეირანის ღირსშესანიშნაობებს, დათვალიერეს შირაზისა და ისპაჰანის — ირანის ამ ორი უძველესი კულტურული ცენტრის ლიტერატურული და არქიტექტურული ძეგლები. ისინი იყვნენ ისპაჰანისა და შირაზის უნივერსიტეტებში, ესაუბრნენ პროფესორებსა და სტუდენტებს.

ვოკალისტთა მონრეალის კონკურსის შედეგები

მონრეალი, 5 ივნისი. (საკდესი). აქ ცნობილი გახდა ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის შედეგები, რომელიც მიმდინარეობს მსოფლიო გამოფენის „ექსპო-67“-ის პროგრამით. საბჭოთა მომღერალს **იური მაზურკას** და რუმინელ მომღერალს **მარინეა კრილოვიჩს** მიენიჭათ პირველი პრემია. ამრიგად მათ გაიანაწილეს პირველი და მეორე ადგილები. მესამე პრაზი მიეკუთვნა ამერიკელ **გუენდოლინ კილბრიუს.**

სსრ კავშირისაგან კონკურსში მონაწილეობდნენ აგრეთვე **ვლადიმერ ატლანტოვი** და **ბალინა კოვალიოვა.** მათ შესაბამისად დაიკავეს მეოთხე და მეშვიდე ადგილები.

კუკლუქსკლანელთა შაბაში

ნიუ-ორკი, 5 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ი. აბლამოვი გვატყობინებს:

400 კუკლუქსკლანელმა, რომელთაგან უმრავლესობას კუკლუქსკლანელთა ბალახოსები ეცვათ, გუშინ ატლანტაში მოაწყო დემონსტრაცია ვიეტნამის ომის მხარდასაჭერად. ამერიკელ ფაშისტთა თანამომძენი — პირწყავარდნილი რასისტები ჯორჯიის შტატის მთავარი ქალაქის ქუჩებში მოდიოდნენ პოლიციისა და კუ-კლუქს-კლანის მომხრეთა სპეციალური რაზმის ძლიერი დაცვით. რაზმის წევრებს ეცვათ ფოლადისფერი სამხედრო ფორმა, ეხუროთ კასკები და ეჭირათ ხელკეტები.

რასისტებმა ამავე დროს გადაწყვიტეს დაეშინებინათ ქალაქის ზანგი მოსახლეობა: მათი დემონსტრაციის მარშრუტი ზანგთა უბნებში გადიოდა.

ძლიერი დაცვისა და ხანგრძლივი სამზადისის მიუხედავად, რასისტთა „საზეიმო მარში“ ჩაიშალა. ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობასთან მათ შეხვდა ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაცია. დემონსტრაციის მონაწილეებს ხელში ეკავათ პლაკატები: „რასისტებო, ხელები შორს ვიეტნამისაგან!“, „დაიბრუნეთ ჩვენი ჭაბუკები ვიეტნამიდან!“, აგრეთვე დიდი ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილი იყვნენ ამერიკის ნაბომის დაბომბვათა მსხვერპლნი ვიეტნამელი ბავშვები.

ზანგთა მღელვარება ბოსტონში

ნიუ-იორკი. ამ ბოლო დღეებში ზანგთა გეტო ამერიკის ქალაქ ბოსტონში გადაიქცა ადგილმრიეი მოსახლეობისა და პოლიციის ბრძოლის ველად. შეტაკება დაიწყო „მჯდომარე“ დემონსტრაციის შემდეგ, რომელიც მოაწყვეს ზანგმა ქალებმა შეურაცხყოფისა და დამცირების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რასაც მათ აყენებენ ქალაქის ხელისუფალნი.

ორიან დაჭრილები. ათობით ზანგი დაპატიმრებულია.

უმიშროების საბჭოს სხდომა

ნიუ-იორკი, 5 ივნისი (საკდესი).

უშიშროების საბჭოს დღევანდელ საგანგებო სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა დაიმოწმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახლოაღმოსავლური წყაროები და განაცხადა, რომ ისრაელ-გვიპტის დაზავების ხაზის გასწვრივ დაიწყო ფართო საომარი მოქმედება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების სარდალმა გენერალმა რიცხომ თავის მოხსენებაში დაადასტურა, რომ ისრაელის ავიაცია თავს ესხმის მრავალ ობიექტს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები თავს დაესხნენ აგრეთვე ღაზისა და ელ-არიშის რაიონს და ტყვია დაუშინეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებს, რომლებმაც ვერ მოასწრეს ევაკუაცია ღაზის რაიონიდან და სინას ნახევარკუნძულიდან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინდოეთის კონტინგენტის სამი ჯარისკაცი დაიხოცა და რამდენიმე დაიჭრა.

უ ტანის სიტყვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჯერჯერობით არ გააჩნია ფაქტები იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო საომარი მოქმედება ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ თაბორმა (დანია) განაცხადა, რომ დღეს დილაადრიან ისრაელის წარმომადგენელმა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა გადასცეს ცნობები, რომლებშიც ერმანეთს აბრალებენ თავდასხმას.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენლის ელ-კუნის წერილში უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი ნათქვამია, რომ ისრაელმა „ვერაგული აგრესია ჩაიდინა“ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ, და „იერიში მიიტანა ღაზის რაიონზე, სინას ნახევარკუნძულზე, კაიროს აეროპორტებზე, სუეცის არხის რაიონსა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა აეროდრომზე“.

ინდოეთის დელეგატმა მოკლე განცხადებაში მტკიცე პროტესტი განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ინდოეთის კონტინგენტზე ისრაელის საჰაერო ძალების თავდასხმის წინააღმდეგ, რომლის შედეგად სამი ინდოელი დაიხოცა და რამდენიმე დაიჭრა.

ისრაელის წარმომადგენელმა რაფაელმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ამტკიცებდა, თითქოს პირველს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჯარებს დაეწყოთ საომარი მოქმედება.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა მოჰამედ ელ-კუნიმ უარყო ეს განცხადება და საბჭოს აცნობა, რომ ისრაელმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ ვერაგული აგრესია დაიწყო დილის 8 საათზე, როცა ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაბომბეს კაიროს ნიტეტის დაცვისათვის“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა რაშიდ კარამემ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიული მოქმედების გამო.

დამასკოს რადიოს აქ მიღებულ ცნობაში ნათქვამია, რომ, სირიის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის კომუნიკეს თანახმად, სირიის ჯარებმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის პასუხად დაიწყეს საომარი ოპერაციები. სირიის ავიაციამ დაბომბა ისრაელის არმიის სამხედრო პოზიციები და გამაგრებული პუნქტები.

როგორც ამანის რადიო იუწყება, მეფე ჰუსეინმა მოიწონა კაბინეტის გადაწყვეტილება გამოაცხადოს ომრდანიაში სამხედრო წესები. იერუსალიმის ომრდანიის სექტორიდან მიღებული ცნობებით, ქალაქში არტილერიის სროლაა სადემარკაციო ხაზის გასწვრივ, რომელიც ჰაოფს იერუსალიმის ისრაელის ნაწილს ომრდანიის ნაწილისაგან. ამანის რადიომ გადასცა აგრეთვე, რომ ომრდანიის არმია დღეიდან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა — ომრდანია — ერაყის გაერთიანებული სარდლობის გამგებლობაშია, რომელიც შეიქმნა ომრდანიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ერაყის ერთობლივი თავდაცვის შესახებ ამას წინათ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

დღეს არაბთა გაერთიანებულმა სარდლობამ გამოაცხადა, რომ ომრდანიის, ერაყისა და სირიის სამხედრო-საჰაერო ძალები ახორციელებენ ერთობლივ საჰაერო ოპერაციებს ისრაელის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ.

კუვეიტის მთავრობამ გამოაცხადა, რომ იგი ისრაელთან თავდაცვითი ომის მდგომარეობაშია.

ᲣᲙᲘᲗᲮᲡᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲗᲐ

უცხოეთის პრესაში

„ჩეხოსლოვაკია — საბჭოთა კავშირის მეგობრობის მანიფესტაცია დეკენში“, „ინტერნაციონალიზმის სიმბოლო“, „მეგობრობის დღეები ძველ დეკენში“ — ასეთი სათაურებით **ჩეხოსლოვაკიის გაზეთები** თვალსაჩინო ადგილს ათავსებენ ინფორმაციას, რომ ამ დღეებში დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის დღესასწაულობის ფარგლებში მოეწყო ჩეხოსლოვაკია - საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეები. ამასთან დაკავშირებით გუშინ გაიმართა მშრომელთა დიდი მანიფესტაცია. დღესასწაულს დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი და საბჭოთა კოსმონავტი ა. ლეონოვი.

ბელგრადისა და **სოფიის გაზეთები** აქცენტებენ ვრცელ მასალებს, რომლებიც ეძღვნება ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ოფიციალურ ვიზიტს იუგოსლავიაში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის მეთაურობით.

გაზეთები კვლავ უძღვნიან კომენტარს საბჭოთა მთავრობის მტკიცე პრინციპს იმის შესახებ, თუ როგორ ებრძოლებიან ერთმანეთს ამერიკელ-ვიეტნამელები.

ბაზეთები ამავე დროს ყურადღებას უთმობენ ახლო აღმოსავლეთს, სადაც ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა იმპერიალისტური ძალების პროვოკაციული მოქმედების შედეგად. **ამერიკის** დღევანდელი **გაზეთები** კვლავ ახდენენ ზემოქმედებას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ხოლო ისრაელის ჯარებმა შეტევა დაიწყეს ორ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ

მაკათა მაგალითი

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲜᲔᲑᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲬᲛᲘᲓᲐᲗᲐ-ᲬᲛᲘᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ, ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲘ-ᲚᲔᲜᲘᲜᲔᲚᲗᲐ ᲮᲡᲝᲕᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲐᲞᲣᲠᲝᲑᲘᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲜᲔᲜ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲑᲛᲘᲠᲗᲐ ᲮᲡᲝᲕᲜᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲬᲐ ᲣᲮᲕᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲧᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲜᲔᲜ ᲗᲔᲗᲠᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲗᲐ, ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲢᲗᲐ, ᲤᲐᲨᲘᲡᲢ ᲓᲐᲛᲪᲧᲠᲝᲑᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲗ. ᲐᲠ ᲩᲐᲥᲠᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲜᲚᲝᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚ ᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ. ᲐᲠᲐᲡᲚᲓᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲔᲑᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲪ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑ. ᲛᲐᲠᲐᲓ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲐᲛᲐᲠᲯᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ.

ᲙᲐᲠᲐᲩᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲘᲗᲐ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ, ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲐᲠᲜᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲣᲡᲘᲐ ᲔᲣᲙᲣᲗᲜᲘᲡ ᲘᲛ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲙᲝᲰᲝᲠᲢᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲔᲠᲙᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ.

პ. ა. პოლიუსუკი რსდმ პარტიის რიგებში შევიდა 1905 წელს ქალაქ ბაქოში. მას შემდეგ მან თავისი სიცოცხლე დაუკავშირა რევოლუციის საქმეს, გახდა პროფესიონალი რევოლუციონერი. პარტიის დავალებით პ. პოლიუსუკი 1905 წელს ხდება ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი საგაფიცვო მოძრაობისა იმერეთსა და აფხაზეთში. იგი იყო იმერეთსა და ორგანიზაციების კავშირის საოლქო კომიტეტის წევრი და აფხაზეთში საგაფიცვო კომიტეტის დაცვის უფროსი, აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ ამბებში.

პროფესიით ჟურნალისტი პ. ა. პოლიუსუკი მონაწილეობდა არალეგალური ლიტერატურის გამოცემაში, იყო ბევრი ბოლშევიკური გაზეთის, მათ შორის „პრიზივისა“ და „ᲐᲣᲓᲝᲙᲘᲡ“ კორესპონდენტი. 1907 წელს პ. პოლიუსუკი აქტიურ მონაწილეობას იღებს მე-2 სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მუშაობაში. იქ ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს ბოლშევიკების ჯგუფის და ვ. ი. ლენინის სახელით, რომელსაც პირადად იცნობდა. 1907-1910 წლებში პ. პოლიუსუკი ემალებოდა მეფის ოხრანკას და არალეგალურ მუშაობას ეწეოდა ბაქოში, იმიერკასპიის ოლქში და დაღესტანში.

1910 წელს პ. პოლიუსუკი გამომცემელი და რედაქტორი სატირულ ჟურნალ „ადსკაია პოჩტისა“. ჟურნალი ბაქოში გამოდიოდა. იგი ამ ჟურნალს ფურცლებიდან უმამხილებდა და გესლიანად დასცინოდა ადგილობრივ ხელისუფალთა მექრთამეობასა და მონურად ქედმოხრას, მეფის მთავრობის მინისტრთა რეაქციულ პოლიტიკას. ჟურნალი, რა თქმა უნდა, მალე აკრძალეს.

პ. პოლიუსუკი 1910 წელს მუდმივ საცხოვრებლად გადადის ქ. თბილისში, სადაც აქტიურად ებრძვის რევოლუციურ მუშაობაში და ეწევა მას ცნობილ რევოლუციონერებთან ფ. მახარაძესთან, ა. ჯაფარიძესთან, ა. ნაზარეტიანთან, ნ. ცერცვაძესთან, ვანო და გიორგი სტურუებთან და სხვებთან ერთად.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ პ. პოლიუსუკი, როგორც ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, დიდ ორგანიზატორულ და პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა საწარმოებსა და ქ. თბილისში განლაგებულ სამხედრო ნაწილებში, ამხილებდა ესერებს, ქართველ მენშევიკებს, სომეხ დაშნაკებსა და აზერბაიჯანელ მუსავატელებს. იგი ხშირად გამოდიოდა მიტინგებსა და კრებებზე ბოლშევიკური რეზოლუციების დასაცავად. ამ პერიოდში პ. პოლიუსუკი მონაწილეობდა აგრეთვე ბოლშევიკურ გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ მუშაობაში. მას დიდ დახმარებას უწევდა მეუღლე იულია ვლადიმერის ასული, ძველი ბოლშევიკი.

1918 წლის ზაფხულში პ. პოლიუსუკი იძულებული გახდა დაეტოვებინა თბილისი და გადასულიყო კავკავში, სადაც აქტიურად ჩაება საბჭოთა ხელისუფლებისთვის ბრძოლაში. იგი განაგებს შრომისა და მრეწველობის განყოფილებას კავკავის დეპუტატთა საბჭოში და ამავე დროს ხელმძღვანელობს მის ბოლშევიკურ ფრაქციას. დეპუტატთა საბჭოში პ. პოლიუსუკი შეურიგებელ ბრძოლას ეწევა ესერებისა და სხვა წვრილბურჟუაზიულ პარტიათა წარმომადგენლების წინააღმდეგ, ხშირად გამოდის დეპუტატთა საბჭოს სხდომებზე და იცავს ლენინურ ხაზს ბოლშევიკური ფრაქციის სახელით.

ეს მძიმე დრო იყო, როცა შინაური კონტრრევოლუცია და უცხოელი ინტერვენტები ცდილობდნენ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა ლიკვიდაციას. მართლაც, 1918 წლის აგვისტოში კონტრრევოლუციურმა ელემენტებმა აჯანყება მოაწყეს და ხელთ იგდეს ძალაუფლება ქალაქში. განუწყვეტლივ აწყობდნენ ჩხრეკა-დაპატიმრებას, იჭერდნენ ბოლშევიკებს და გაუსამართლებლად ხვრეტდნენ. პ. პოლიუსუკი რამდენიმე დღეს იმალებოდა, მაგრამ მოღალატური დაბეზღების შედეგად ისიც დაპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს. და აი განაჩენის სისრულეში მოყვანის დღეს დამიის ნაწილებთან ერთად საქართველოს სამხედრო გზით მოემგზავრება ქ. თბილისში. აქ იგი აქტიურად ებრძვება რევოლუციურ მუშაობაში. 1919 წლის ივლისში მას „მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისთვის“ (როგორც ამას წერდა მენშევიკური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“), საქართველოს მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული რაზმი პატიმრებს და ათავსებს თბილისის საგუბერნიო საპყრობილეში. იქიდან პ. პოლიუსუკს ათავისუფლებენ მხოლოდ 1920 წლის მაისში, საბჭოთა რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ. იგი გადადის ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც იწყებს მუშაობას რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროში პასუხისმგებელ ინსტრუქტორად, ორგანიზატორად და ინფორმატორად. ამ პერიოდში პ. პოლიუსუკი რკპ (ბ) ც. კ-ის კავკასიის ბიუროს და პირადად ბიუროს მდივნის ამხ. ნაზარეტიანის სპეციალური დავალებით დიდ მუშაობას ეწევა გაზეთ „სოვეტსკი კავკაზის“ „კორესპონდენტთა პუნქტების მოსაწყობად, აპროვებს მასალებსა და მოგონებებს კავკასიის სამოქალაქო ომის შესახებ და კავკასიის ბიუროს აწვდის ინფორმაციას ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე პ. პოლიუსუკი, უკვე მძიმე ავადმყოფი, გადმოდის თბილისში. აქედან მას სამკურნალოდ გზავნიან მანგლისში, სადაც იგი 1921 წლის 1 სექტემბერს, 45 წლისა, გარდაიცვალა.

გაზეთმა „პრავდა გრუზიამ“ მოათავსა ნეკროლოგი, სადაც პ. პოლიუსუკს უწოდებს „კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო წევრს, რომელიც თავისი დიდი ხნის რევოლუციური მოღვაწეობის მანძილზე ექვსჯერ იყო დაპატიმრებული და თერმიტჯირ გადასახლებული.

„პრავდა გრუზიის“ 6 სექტემბრის ნომერში ვკითხულობთ:

„სიკვდილის წინაც კი, რომელმაც ესოდენ უდროოდ გამოსტაცა იგი ჩვენს რიგებს, მისთვის ჩვეული სიმტკიცით მას ერთი წუთითაც კი არ ავიწყდებოდა თავისი რევოლუციური მოვალეობა. აი რას წერს იგი თაღის გამოსათხოვარ სიტყვაში:

„ᲓᲦᲔᲡ ᲤᲘᲖᲘᲠᲘᲡ — ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲕᲤᲘᲪᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ, ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ 1905 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲔᲓᲘ, ᲛᲝᲒᲕᲮᲡᲜᲘᲡ ᲞᲐᲢᲝᲛᲡᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲘᲗ, ᲐᲠᲪ ᲤᲘᲖᲘᲠᲘᲗ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲫᲚᲐᲢᲜᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲐᲘ ᲠᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲡᲠᲣᲚᲔᲨᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲛᲗᲮᲝᲕᲐᲠ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ:

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲠᲗᲘ ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲐᲮᲚᲝᲡ. ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲕᲤᲘᲪᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲬᲧᲝᲑᲘᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲛᲗᲮᲝᲕᲐᲠ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲪᲔᲚᲘᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲕᲘᲪᲕᲔᲓᲘᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲔᲓᲘ, ᲛᲝᲒᲕᲮᲡᲜᲘᲡ ᲞᲐᲢᲝᲛᲡᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲘᲗ, ᲐᲠᲪ ᲤᲘᲖᲘᲠᲘᲗ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲫᲚᲐᲢᲜᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲗᲮᲝᲕᲘᲐ ᲡᲐᲮᲚᲝᲠᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲓᲔᲐᲡ ᲓᲐᲐᲪᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲓ.

ᲐᲮᲚᲐ ᲕᲘᲪᲕᲔᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲕᲘᲪᲘᲜᲐᲑᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲝᲛᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲢᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲮᲡᲜᲘᲡ ᲞᲐᲢᲝᲛᲡᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲘᲗ, ᲐᲠᲪ ᲤᲘᲖᲘᲠᲘᲗ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲫᲚᲐᲢᲜᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲗᲮᲝᲕᲘᲐ ᲡᲐᲮᲚᲝᲠᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲓᲔᲐᲡ ᲓᲐᲐᲪᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲓ.

ᲐᲮᲚᲐ ᲕᲘᲪᲕᲔᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲕᲘᲪᲘᲜᲐᲑᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲝᲛᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲬᲧᲝᲑᲘᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲛᲗᲮᲝᲕᲐᲠ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ

ჩვენს არე-მარეში



გვაცყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები

ქვლავ ინგლისი

საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის ახალი გასტროლების წინ

ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ინგლისში საგასტროლოდ იყო, და აი კვლავ იქ მიემგზავრება. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ეწვია ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს, საბჭოთა კავშირის სახალხო artისტს ილიკო სუხიშვილს და სთხოვა გაზეთის მკითხველთათვის მოკლედ ეამბნა მომავალი ტურნეს შესახებ.

გთავაზობთ მის ნაამბობს.

წელიწადი შეუჩნევლად გაფრინდა, ამბობს ილიკო სუხიშვილი. თითქოს გუშინ იყო ანსამბლი ალბიონის ქვეყანაში და გეზი კვლავ ამ ქვეყნისაკენ უნდა აიღოს. თვით ის ფაქტი, რომ ამ მოკლე ხანში მეორედ მივდივართ, წინა გასტროლების წარმატებაზე ლაპარაკობს. მართალი გითხრათ, არც კი გვეგონა, რომ ასე მალე მოგვიწევდა ინგლისში გამგზავრება, მაგრამ შოთა რუსთაველის იუბილემ ანსამბლს გეგმები შეაცვლევინა. მოსკოვში შოთას დღეებთან დაკავშირებით ანსამბლის გამოსვლას დაესწრო ცნობილი ინგლისელი ამპრესარიო ვიქტორ ჰოჰაუზერი. ჩვენ მაშინ საგანგებო პროგრამით გამოვდიოდით, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი ნომერი იყო ქორეოგრაფიული სიუიტა „ქაჯეთის ციხის აღება“. ეტყობა, უცხოელ იმპრესარიოზე ამ სცენკვაო პიესამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მან საგანგებოდ მიგვიწვია ინგლისში და წინასწარ შეგვითანხმდა, რომ ამჯერად ინგლისელები „ქაჯეთის ციხის აღებას“ ნახავენ.

ანსამბლი ინგლისში გამგზავრებამდე მოსკოვს ეწვევა, სადაც „საქართველოს დღეებში“ მიიღებს მონაწილეობას.

თერთმეტ ივნისს გეზს ინგლისისაკენ ავიღებთ, ერთი დღის შემდეგ კი ოქსფორდის სპორტის სასახლეში, რომელიც 10 ათას მაყურებელს იტევს, პირველ კონცერტს გავმართავთ. იმპრესარიო ვ. ჰოჰაუზერი გვატყობინებს, რომ ოქსფორდში ჩვენს შვიდივე კონცერტზე ყველა ბილეთი წინასწარვე გაიყიდა.

ოქსფორდიდან სანდერლენდს ვეწვევით და იქიც ერთ კვირას დავრჩებით, შემდეგ კი ოცდაერთ კონცერტს გავმართავთ ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში. შარშან ლონდონელებმა ჩვენი ქართული ანსამბლის კონცერტები ნახეს „ფესტივალ-ჰოლის“ დარბაზში, რომელიც სამი ათას მაყურებელს იტევს. წელს, როგორც შევიტყეთ, გამოსვლა მოგვიწევს „ალბერტ-ჰოლის“ დარბაზში, რომელიც შვიდი ათას მაყურებელზეა განსაზღვრული. ეტყობა კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქართულმა ცეკვებმა ლონდონში, თუ ზომით უფრო დიდ დარბაზს გვთავაზობენ.

ლონდონის შემდეგ თითო-თითო კვირით მივემგზავრებით მანჩესტერში, საუთჰემპტონში, ბრედფორდში, გლაზგოსა და ედინბურგში.

სულ ანსამბლი გამართავს 69 კონცერტს და გასტროლებზე იქნება ორთვენახევრის განმავლობაში.

ჩვენი ანსამბლის ტრადიციად დამკვიდრდა განმეორებით გასტროლებზე ერთსა და იმავე ქვეყანაში განახლებული პროგრამის ჩვენება. ამჯერადაც ასეა. ანსამბლის სამოცდაათმა მოცეკვავემ ბევრი იშრომა და ინგლისელთა წინაშე ახალი პროგრამით წარსდგება. ეს ცეკვებია „მოსავლის დღესასწაული“, რომელიც ვრცელ სცენკვაო სიუიტას წარმოადგენს, „ხანჯლური“ — წმინდა ეროვნულ მოტივებზე აგებული ცეკვა, „ჭორაკანა ქალები“ ანუ სურათი ძველი თბილისის ცხოვრებიდან, „მოხევეთა მასობრივი ცეკვა“ და მთავარი ქორეოგრაფიულ-თეატრალური სანახაობა „ქაჯეთის ციხის აღება“.

გამგზავრების წინადღით მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ანსამბლი ამ გასტროლებზეც ისევე გულდასმით და წარმატებით გამოვა, როგორც მას სჩვეოდა.

მუსიკა სიხარულის წყაროა

ნორჩი პიანისტის ლ. თორაძის შემოქმედებით ზრდასა და დაოსტატებას ინტერესით ადევნებს თვალყურს ჩვენი მუსიკალური საზოგადოებრიობა. თავისი გამოსვლებით უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მან მსმენელთა სიმპათიები მოიპოვა შესრულების უშუალო ტემპერამენტული მანერით, ხალასი ემოციურობით. განსაკუთრებით სამახსოვროა მის მიერ ნ. მამისაშვილის „პიონერული კონცერტის“ შესრულება, როდესაც მან პირველად გააცნო თბილისის, ხოლო შემდეგ მოსკოვის მუსიკალურ საზოგადოებრიობას ეს ნაწარმოები. ჭაბუკი პიანისტის წარმატება აღინიშნა საკავშირო პრესის ფურცლებზე. მაგრამ ყოველივე ეს ერთი წლის წინათ იყო. სწრაფად მზარდი ახალგაზრდასათვის კი ერთი წელი ძალიან დიდი ვადაა.

პიანისტის მორიგმა საანგარიშო კონცერტმა, რომელიც კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა, დაგვიდასტურა, რომ მას დრო უქმად არ დაუკარგავს და დიდი ნაბიჯი გადაუდგამს წინ თავისი მხატვრული დოსტატების გზაზე.

ლექსო თორაძე ამჟამად ცენტრალური მუსიკალური სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეა (მისი ხელმძღვანელია დამსახურებული პედაგოგი რ. როჭოკი). ცხადია, შეუძლებელია ვილაპარაკოთ 14 წლის პიანისტზე როგორც დასრულებულ ხელოვანზე, მით უმეტეს, რომ იგი ინტენსიური ზრდის, შემოქმედებითი „დუღილის“ პროცესში იმყოფება. მაგრამ მინდა ყურადღება შევაჩერო ჭაბუკი მუსიკოსის რამდენიმე თვისებაზე, რომლებიც მისი არტისტული მომავლის საუკეთესო საწინდრად მიმაჩნია. ნორჩ მუსიკოსს გატაცებით უყვარს თავისი ხელოვნება, უყვარს მუსიკა. დაკვრა მისთვის უდიდესი სიამოვნებისა და სიხარულის წყაროა. ეს თვისება, რაზეც შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს დაკვირვებულ მსმენელს, საპასუხო გამძაბილს იწვევს მასში, და სწორედ ამიტომ არის, რომ თითქმის პირველივე აკორდებიდან პიანისტი ახერხებს უშუალო ემოციური კონტაქტი დაამყაროს დარბაზთან. არ შეიძლება თვალში არ მოგხვდეს მისი თანდაყოლილი მუსიკალობა, რაც ვლინდება ფრაზირების ბუნებრიობაში და ფორმის ორგანულ აღქმაში. იგი ინტუიციურად გრძნობს ნაწარმოების მხატვრულ რაობას, მის მუსიკალურ სტილს და თანაბარი ხალისით უკრავს ადრინდელი კლასიციზმის ნიმუშებსაც და თანამედროვე „ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით“ დაწერილ ბაბაჯანიანის, ცინცაძის, შჩედრინის პიესებსაც.

მაღალი რანგის პიანიზმის კიდევ ერთ აუცილებელ კომპონენტს, როგორც ცნობილია, ტექნიკური სრულყოფილობა შეადგენს. ლ. თორაძე ვერც ამ მხრივ დამდურება ბუნებას, რომელმაც იგი მტკიცე საიმედო აპარატით დაჯილდოვა. თუმცა მას ჯერ კიდევ მეცადინეობა მოუწევს თითების მეტი ელასტიკურობის და perle ტექნიკის გამომუშავებისათვის.

ლ. თორაძის ნიჭის მიმზიდველი თვისებები ნათლად გამოვლინდა ჰაიდნისა (მი-ბემოლ მაჟორი) და ბეთჰოვენის (მე-13) სონატების, და განსაკუთრებით, ლისტის „პეტრარკას სონეტის“ (ლა-ბემოლ მაჟორი) შესრულების დროს. ვირტუოზობაზე „განაცხადი“ გააკეთა პიანისტმა ცინცაძის ახალი საინტერესო „პრელუდიის და ტოკატოს“ შესრულებით, რომლის პირველ ინტერპრეტატორადაც იგი მოგვევლინა.

ყოველივე ეს, ცხადია, როდი ნიშნავს, რომ ლ. თორაძის დაკვრა სავსებით უნაკლოა. მაგალითად, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ჯერ ვერ განთავისუფლებულა პიანისტების „საყმაწვილო სენისაგან“. — ტემპებისა და ხმოვანების ფორსირებისადმი მიდრეკილებისაგან, რაც განსაკუთრებით მის შარშანდელ კონცერტში იგრძნობოდა, ახლა კი მოპენის „პოლონეზ-ფანტაზიის“ შესრულების დროს გამოვლინდა. ანალოგიური შენიშვნის გაკეთება შეიძლება რამო-გოდოვსკის „გავოტის“ მიმართ.

ლ. თორაძის კონცერტმა ერთხელ კიდევ დაგვაჯერშუნა, რომ მისი სახით გვყავს ნათელი ნიჭით დაჯილდოებული ნორჩი მუსიკოსი. თავის შემდგომ მუშაობაში მან და მისმა მასწავლებელმა საერთო ხასიათის მხატვრულ ამოცანებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ტექნიკური აპარატის შემდგომ დახვეწასა და გაშალაშინებას.

ლ. თორაძე შრომისმოყვარე, თავის საქმეში შეყვარებული ჭაბუკი ხელოვანია. ეს კი მის ნიჭთან ერთად საფუძველს გვაძლევს იგი ერთ-ერთ პერსპექტიულ და საიმედო ძალად მივიჩნიოთ ჩვენს შემოქმედებით ახალგაზრდობაში.

გ. ტორაძე.

XX საუკუნის ცა. ფოტო ხ. კილაძისა.

„ზვარეს“ შაღრევანი

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). საქვეყნოდ ცნობილია მინერალური წყალი „ზვარე“. სოფელ ზვარეში არის მისი ჩამომსხმელი ქარხანა, რომლის კოლექტივი წარმატებით მუშაობს.

აქვე გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს ხელმძღვანელობს შ. დუნდუა.

ამას წინათ გაიბრა ჭაბურღილი 70 მეტრზე, საიდანაც ამოხეთქა „ზვარეს“ შადრევანმა. მისი, დებიტი დღე-ღამეში 100.000 ლიტრს აჭარბებს.

თოვლი ზაფხულში

არქტიკულმა სიცივემ კავკასიამდე მოაღწია. აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და დაღესტნის მთელ რიგ მთის რაიონებში მოვიდა თოვლი. დაბა პარაგაჩაიში ჰაერის ტემპერატურა მინუს 7 გრადუსამდე დაეცა. თოვლი და ყინვა აღინიშნა ბევრ სხვა დასახლებულ პუნქტში, რომლებიც მდებარეობენ მცირე კავკასიონზე.

ამიერკავკასიისათვის თოვლი ივნისში მეტად იშვიათი მოვლენაა, უთხრეს საკდესის კორესპონდენტს აზერბაიჯანის ჰიდრომეტსამსახურის სამმართველოში. აზერბაიჯანში თოვლი არ ყოფილა უკვე 20 წელია. ეს აცივება ხანმოკლე იქნება. უახლოეს დღეებში ზაფხული თავისას გაიტანს.

მგზოლოდ ფაქტები

გუშინდელი ფოსტიდან

☐ **ჰიათურა.** ახალ დიდ დასახლება ნაგუთში ი. გოგებაშვილის ქუჩაზე აშენდა ორსართულიანი საბავშვო ბაგა-ბაღი 140 ბავშვისათვის. ბაგა-ბაღი უზრუნველყოფილია ავეჯით, ინვენტარით, კვალიფიციური ალმზრდელებით. მარგანეცის ქალაქის ბავშვებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. (ჯ. პატარიძე).

☐ **სამტრედია.** ამ დღეებში ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების რაიონულმა განყოფილებამ გახსნა რესტორან-პავილიონი, რომელიც მოთავსებულია ორსართულიან ნთელ შენობაში. (ბ. ჩიხლაძე).

☐ **ახალციხე.** სოფელ გიორგიწმინდის კლუბში მოეწყო ლექცია თემაზე: „კომუნისტური ჩვენებისა და ჩვეულებების აღზრდა ბავშვებში“.

ლექცია, რომელიც დიდი ინტერესით მოისმინეს სოფლის მშრომელებმა, წაიკითხა საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორმა, რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ბ. ახვლედიანმა. (ა. პაპანაძე).

„საქართველოს სახალხო მეურნეობა“ № 4

მიმდინარე წლის აპრილიდან „საქართველოს ეკონომისტი“ გამოდის „საქართველოს სახალხო მეურნეობის“ სახელწოდებით. იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ორგანოა. უკვე დაიბეჭდა მეოთხე ნომერი და დაგეგზავნა ხელმომწერლებს.

სარედაქციო წერილში — „რედაქციისაგან“ ლაპარაკია იმაზე, თუ რით არის გამოწვეული ჟურნალის სახელწოდების შეცვლა და რა ამოცანები დგას ახალი ჟურნალის წინაშე. ჟურნალში დაბეჭდილია მასალები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეათე წლისთავისადმი, სამეურნეო რეფორმის პრობლემებზე, მიმოხილვა, ეკონომისტის შენიშვნები, ინფორმაცია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია და სხვ.

ორი სხვადასხვანაირი ჭაიმი

პარიზი. 4 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებმა შაბათის მშვენიერი ზაფხულის საღამოს პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე დაამტკიცეს, რომ მათი ამასწინანდელი ჩინებული გამარჯვება შოტლანდიის ნაკრებზე გლაზგოში, რაზედაც ახლა ბევრს ლაპარაკობენ მთელი ევროპის ფეხბურთის მოყვარულნი, შემთხვევითი როდი იყო. საბჭოთა სტუმრებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს საფრანგეთის ნაკრებზე (ეს იყო ორი ეროვნული ნაკრების. მეოთხე შეხვედრა) — 4:2 (1:2). ანგარიში შეიძლება მეტიც ყოფილიყო, ამიტომ 25 ათასი პარიზელი, როცა მატჩის შემდეგ სტადიონს ტოვებდა, არც თუ მაინცა და მაინც კარგ გუნებაზე იყო.

უნდა ითქვას, თამაშის დასაწყისი სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა. **ია შინინის** კარებზე ზედიზედ მიიტანეს იერიში. განსაკუთრებით საშიში იყო საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელთა ლიდერი **ბონდუ**, რომელსაც კარგად იცნობენ საბჭოთა ფეხბურთის მოყვარულნი. სწორედ მან, ისარგებლა რა ჩვენი მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით, მე-11 წუთზე ძლიერი დარტყმით გაიტანა ბურთი **ია შინინის კარში.**

საფრანგეთის ნაკრების მცველმა **ლე-შენანდეკმა**, რომელიც **ბიშევეცს „დარაჯობდა“** და ჩამორჩებოდა მას სისწრაფეში, დაიწყო აკრძალული ხერხების გამოყენება. 33-ე წუთზე საჯარიმოდან დარტყმულ მაღალ ბურთს მიუსწრო **ჩისლენკომ** და ლამაზი თაურით მოხდენილად გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

ახლა უკვე დიდი სამუშაო გაუჩნდა ფრანგთა მეკარეს **ეონს.** ერთხელ ბურთი ცარიელი კარიდან სტრელცოვის დარტყმის შემდეგ გამოაბრუნა მცველმა **კარდინემ.** მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა კვლავ უყურადღებოდ დატოვეს ფრანგების თავდამსხმელი **სიმონი**, და შესვენებამდე რამდენიმე წამით ადრე მან უძლიერესი დარტყმით შორიდან გაგზავნა ბურთი ჩვენი გუნდის კარის მარცხენა ზემო კუთხეში. 2:1 — ფრანგები იგებენ პირველ ტაიმს.

მატჩის მეორე ნახევარში მისი მსვლელობა მკვეთრად შეიცვალა: მდგომარეობის ბატონ-პატრონი სტუმრები გახდნენ. უფრო დამშვიდებით მოქმედებდნენ მცველები, თამაში აიწყო ჩვენი იერიშების „დირიჟორმა“ **სტრელცოვმა**, და მისი მოულოდნელი გადაცემები პარტნიორებისადმი ხშირად კატასტროფულ მდგომარეობაში აყენებდნენ მოწინააღმდეგეთა მცველებს. 46-ე წუთზე ერთ-ერთი ასეთი გადაცემა ჩინებულად გამოიყენა **ბიშევეცმა**, ხოლო 59-ე წუთზე — **ჩისლენკომ.** და, ბოლოს, კიდევ 20 წუთის შემდეგ თვით **სტრელცოვმა** ვეღრი აუარა ორ თავდამსხმელს და ლამაზად დააგვირგვინა იერიში.

ჩვენი გუნდი გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: **ია შინინი** (კაპიტანი), **აფონინი**, **შესტერნინოვი**, **სოსნიხინი**, **ლენინოვი**, **ვორონინი**, **საბო**, **მეფვიდი**, **ბიშევეცი** (ხელენიკი), **სტრელცოვი**, **ჩისლენკო** (ევრიუშიხინი).

● ცნობები მოყვარულთათვის

აფრიკული ქაღალდოსკოპი

მისი საუვარელი კერძია ბიქები და ლურსმნები

იმი გაოცებული მაყურებლების წინაშე იდგა და მადიანად შეექცეოდა... ჭიქას. როცა სულისწამღები ტრაგა-კრუჭი მიწყდა და მინის უკანასკნელი ნატეხი გადაისანსლა, ახალგაზრდამ — შუბმაღალმა, შავ, ნაღვლიანთვალებიანმა და კოპწია ულვაშებიანმა ეთიოპიელმა ხელი მიჭყო „მეორე კერძს“: კვლავ ოლიმპიური სიმშვიდით შეუდგა... ლურსმნების ღეჭვასა და ყლაპვას.

არა, ლაპარაკი როდია მომთაბარე ეთიოპური ცირკის რომელიმე მეფოკუსეზე. ბეიენე იფტერი — ადამიანი, რომელსაც აქვს არაჩვეულებრივი უნარი საკვებად იყენებდეს ლითონს, მინასა და სხვა არასაკვებ ნივთებს, არც . მეფოკუსეა, არც ხუმარა და არც შეშლილი. აი რას ჰყვება იგი თავის თავზე.

— „ჩვენის საკვებისადმი“ ლტოლვა ჯერ კიდევ ბავშვობაში ვიგრძენი. მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი. ასმარაში ვიდექი შეგირდად მეწაღეთანან. ერთხელ ოსტატმა შემამჩნია, როგორ მადიანად დავაყოლე პურს მისი ლურსმნები, და იმავე დღეს ქუჩაში გამაგდო.

მას შემდეგ 21 წელმა განვლო. ლურსმნები და მინა ბეიენეს მუდმივი რაციონი გახდა — ჩვეულებრივი საკვების აუცილებელი დანამატი.

— ერთი დღეც არ შემიძლია გავძლო, — ამბობს იგი, — ისე, რომ ლითონის ნივთი არ შევჭამო.

იგი ამტკიცებს, რომ მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ერთი ბოთლი... აზოტის მჟავას დალევა. როგორც თვითონ ირწმუნება, იგი იცნობს სხვა თავის მსგავს „ბურმანებს“ (კარგი ჭამა-სმის მოყვარულებს) — არა მარტო ეთიოპიის, არამედ სუდანისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მოქალაქეებს.

ნუ შეეუდგებით იმის მტკიცებას, — წერს საკდესის კორესპონდენტი ვ. მატვეევი, — რომ ბეიენეს ყველა მონათხრობი სრული ჭეშმარიტება იყოს. მით უმეტეს, რომ იგი ამბობს, თორემ ჩვენთან არ მოუწედნია თავისი „აზოტმჟავური აკოკოლისტი“ ხელოვნების დემონსტრირება. მაგრამ ჭიქებსა და ლურსმნებს რომ დიდი სიამოვნებით შეექცევა, ეს ფაქტია.

ვაჭრობა ალმასისათვის

გაზეთებში უკვე დაიწერა, რომ ლესოტოში (აფრიკა) ახლახან იპოვეს მსოფლიოში სიდიდით მეექვსე ალმასი, რომელიც 601,8 კარატს იწონის.

ახლახან მასერუში (ლესოტოს დედაქალაქი) გაიმართა აუქციონი, რომელზეც ეს ალმასი იყიდა ვინმე ე. სერაფინამ (ბლუმფონტეინი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) 108.180 გირვანქა სტერლინგად. საინტერესოა, რომ ამავე ძვირფასი თვლებით მოვაჭრემ 1965 წელს იყიდა 527 კარატი წონის ალმასი.

აუქციონზე სერაფინას მეტოქეები იყვნენ მსოფლიოს უდიდესი სამთამადნო კონცერნის — მეთაურის ოპენჰაიმერის წარმომადგენელი, აგრეთვე მფლველები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ჰოლანდიიდან და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან ჩამოვიდნენ.

ოქროს მძებნელმა პ. რამაბოვამ, ვინც ალმასი იპოვა, აუქციონის შემდეგ განაცხადა, რომ იყიდის ბულდოზერს და განაგრძობს თავისი ნაკვეთის დამუშავებას, ლესოტოს მთებში.

ახლა ალმასი ინახება ქალაქ მასერუს ბანკში, რომელსაც პოლიციის გაძლიერებული რაზმი იცავს და მყიდველს გადასცემენ მას შემდეგ, როცა ლესოტოს მთავრობას გადაუხდის გადასახადს ალმასის საერთო ღირებულების 15 პროცენტის ოდენობით.

მ. ვიშნევსკი.

ნ. ლ. ცინცაძე—

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მაღალ ტემპერატურათა ფიზიკის განყოფილების გამგემ **ნოდარ ლევანის-ძე ცინცაძემ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე **ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის** სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **ელექტრომაგნიტური ტალღების ურთიერთმოქმედებისა და ტრანსფორმაციის თეორია არაწონასწორულ პლაზმაში.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ნ. ლ. ცინცაძისათვის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნება.

ჩაბ ვიცინოთ, ჩაბ ეოვისეირთ

ტელევიზია

6 ივნისი

09.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 10.40 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 11.10 — მხატვრული ფილმი „მიუსაფარი ღამეები“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა ოქტომბრელთათვის „ჩემი ბაღი“, 18.25 — მოსწავლეთათვის „ქართული ენის სიწმინდისათვის“, 18.40 — განცხადებები, 18.45 — „დიადი თარიღის 50 წელი“. პირველი მარქსისტული წრეები საქართველოში, 19.05 — კინონარკვევი, 19.15 — გადაცემა „უნივერსიტეტი შენდება“, 19.50 — კინონარკვევი, 20.10 — საღამოს პანორამა „სატელევიზიო ცნობათა ბიურო“, 20.40 — გადაცემა „ქართველი მწერლები დიადი თარიღის შესახვედრად“, 21.20 — კინონარკვევი, 21.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.05 — მხატვრული ფილმი „ავდოტია პავლოვნა“, 23.25 — გადაცემათა პროგრამა 7 ივნისისათვის, 23.30 — კინომოყვარულთა კლუბი „კინომოყვარულთა ფილმების საკავშირო დათვალიერების შედეგები“ (გადოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 ს., საღამოს 17 ს. 45 წ.

7 ივნისი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „ტანკერი დერბენტი“, 19.20 — საქართველოს კვირეული მოსკოვში — სატელევიზიო გადაცემების ანონსი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — „საქართველოს სოფლის მეურნეობის წარსულიდან“, 19.50 — განცხადებები, 19.55 — კინონარკვევი, 20.05 — გადაცემა „ქართული სპორტის ისტორიიდან“, 20.45 — კინონარკვევი. 20.55 — ლეონაველოს ოპერა „ჯამბაზები“ (პირველი დადგმის 75 წლისთავის გამო), 21.35 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.55 — მხატვრული ფილმი „კოტოვსკი“.

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 ს., საღამოს 17 ს. 45 წ.

თეატრები

6 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი (მე-7 აბონ. მე-6 წარმოდგენა), მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ, **ვასო აბაშიძის** სახელობის მუსიკალური კომედიის — შესანიშნავი სამეული, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნევის შეკარდენი (№ 33, 51 და 57 აბონ. საღ. 6 ს.).

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03. 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73 24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი ბისამართი და ტელეფონები

გაძლიერება ქალათბურთში

მონტევიდეო, 4 ივნისი (საკდესისა და „კომსომოლსკაია პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტები **ლ. მაქსიმენკო, პ. მიხალიოვი**). როცა მოსკოვში ნაშუადღამევი იყო, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯებმა ოპეხჰეიმმა (ურუგვაი) და დიმოუმ (საბერძნეთი) სპორტის სასახლის — „ცილინდრის“ არენაზე გაიწვიეს ორგზის მსოფლიო ჩემპიონები ქალათბურთში — ბრაზილიელები და რვაგზის ევროპის ჩემპიონები — სსრ კავშირის სპორტსმენები. ხოლო როცა ჩვენს დედაქალაქში კვირა დღე თენდებოდა, აქ, მსოფლიო ჩემპიონატზე, მსოფლიოს კალათბურთის ტახტიდან ჩამოაგდეს ბრწყინვალე ბრაზილიელები, რომლებიც ზედიზედ რვა წელიწადს ბატონობდნენ. და ეს ქნეს ჩვენმა ბიჭებმა, რომლებმაც ამ ღამით სამშობლოსაგან დაშორებით ნამდვილი სპორტული გმირობა ჩაიდინეს.

ეს იყო უმაგალითოდ მძაფრი მატჩი, რომელმაც გული აუჩქროლა მსოფლიოში ყველაზე ექსპანსიურ 18 ათას გულშემატკივარს. 78:74 (42:42) — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა ჩვენმა ნაკრებმა გუნდმა. კალათბურთის ბევრ ექსპერტს, მონტევიდეოში, მიაჩნია, რომ ეს იყო ჩემპიონატის ფინალი.

რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, რომ ეს ასე იყოს. მაგრამ ნაკრების მწვრთნელებს **ა. გომელსკისა** და **ი. ოზეროვს** მიაჩნიათ — და სამართლიანადაც — რომ გამარჯვება უნდა გვიხაროდეს, მაგრამ გულდამშვიდება ჯერ აშკარად ნაადრევია. წინ ორის უძნელესი გამოცდა — მატჩები ამერიკის შეერთებული შტატებისა და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებთან.

ყველაზე შედეგიანი ჩვენს კალათბურთელებში იყვნენ **ვოლნოვი** — 28, **პოლიოვოდა** —20, **პაულაუსკასი** — 15. ბრაზილიელებს შორის — **უბირატანი** —26, **მენონი** — 14, **ჟატირი** — 15. მეორე მატჩში არგენტინელებმა დამარცხეს ურუგვაის ნაკრები 79:75.

ამრიგად, კალათბურთის ტახტი ჯერჯერობით ცარიელია; ვინ დაიკავებს მას — უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

საჭადრაკო ტურნირები

მოსკოვის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეათე ტურში **დ. ბრონშტეინმა** ეფექტური გამარჯვება მოიპოვა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთან **ხ. გლიგორიჩთან** შეხვედრაში. **ვ. სმისლოვმა** მოუგო **ი. ბილეკს, ლ. შტეინნა — მ. ფილიპს, ფ. გეორგიუმ — ბ. სპასკის, მ. ბობოცოვმ. ნაიდორფის, ა. გიპსლის-ლ. პორტიშისა** და **ვ. ულმან-ბ. კერესის** პარტიები ყაიმით დამთავრდა.

კვირას მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. **დ. ბრონშტეინმა** დაამარცხა **მ. ფილიპი, ტ. პეტროსიანმა — ლ. პახმანი. მ. ტალისა** და **ე. გელერის** პარტია კვლავ გადადიდო.

ათი ტურის შემდეგ ლიდერები არიან **ა. გიპსლისი, მ. ბობოცოვი, ლ. შტეინი, ბ. სპასკი, ლ. პორტიში** და **დ. ბრონშტეინი,** რომლებსაც ექვს-ექვსი ქულა აქვთ.

მოსკოვი საერთაშორისო ტურნირი ლენინგრადში დასასრულს უახლოვდება. მეთორმეტე ტურში **ბ. ვლადიმიროვმა** მოუგო **ლ. სპოს, ვ. კორჩნოიმ — ა. სუეტინს, ვ. ბარცამ — გ. ტრინგოვს, რ. ხოლმოვ-ვ. ვესტერნინენისა** და **რ. ფუქს-ვ. გორტის** პარტიები ყაიმით დამთავრდა. ორი პარტია გადადიდო.

კიევში ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გადადებული პარტიების დამთავრების სიურპრიზი **ნ. ალექსანდრიას** დამარცხება იყო. მან **ა. კისლოვასთან** აშკარად მოსაგებ პოზიციაში უხეში შეცდომა დაუშვა, დაკარგა ლაზიერი და დანებდა.

მეათე ტურში, რომელიც კვირას შედგა, მსოფლიოს ჩემპიონმა **ნ. გაფრინდაშვილმა** ძლიერად ჩაატარა პარტია **კ. ერტეოვასთან** და 29-ე სვლაზე გაიმარჯვა. **ო. ანდრეევამ** მოუგო **ნ. მედინინოვას, ა. კისლოვამ — ე. ბლეკს, ლ. ფოვკოვიჩ-ფ. ჰეემსკერკის** პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადადიდო.

ათი ტურის შემდეგ ლიდერია **ნ. გაფრინდაშვილი,** რომელსაც 7,5 ქულა აქვს ცხრიდან, **ა. ნიკოლაუს** 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, **ო. ანდრეევას** — 6,5 ქულა, **ე. კოზლოვსკაიას** — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, **ნ. ალექსანდრიასა** და **კ. ზვორიკინას** — ხუთ-ხუთი ქულა და თითო გადადებული პარტია.

სპარტაკიადის ჩემპიონები

დამთავრდა მოსწავლეთა მეცხრამეტე სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ფრენბურთში, ხელბურთსა და კალათბურთში.

ფრენბურთში თბილისის ჭაბუკთა ნაკრები გახდა სპარტაკიადის ჩემპიონი.

გოგონებს შორის ჩემპიონობა ხვდათ თბილისელ ფრენბურთელებს. მეორე ადგილი დაიკავა აფხაზეთის გუნდმა, მესამე — ქუთაისის ფრენბურთელთა კოლექტივმა.

ხელბურთში სპორტზო ადგილები ასე განაწილდა: ჭაბუკები — თბილისი (პირველი გუნდი), აჭარა, ქუთაისი. გოგონები — ქუთაისი, თბილისი, აჭარა.

კალათბურთელთა ასპარეზობაში ჩემპიონები გახდნენ თბილისის ჭაბუკთა და გოგონათა გუნდები.

„გ“ კლასის IV ზონაში

კვირას შედგა „ბ“ კლასის მეოთხე ზონის გუნდების მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

„დილა“ (გორ